



## ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

### პროგრამის სახელწოდება

ინფორმატიკა

Informatics

### ფაკულტეტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების

Informatics and Control Systems

### პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი რომან სამხარაძე

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

შუალედური კვალიფიკაცია ინფორმატიკის სპეციალობით (**Intermediary Qualification in Informatics**)

*მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული მოკლე ციკლის გავლის შემთხვევაში (არანაკლებ 120 კრედიტი)*

ინფორმატიკის ბაკალავრი (**Bachelor in Informatics**)

*მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული მოკლე ციკლის და თავისუფალი კომპონენტების ან/და დამატებითი სპეციალობების კომბინირებით არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში*

### სწავლების ენა

ქართული

### პროგრამის მიზანი

სასწავლო პროგრამის მიზანია მისცეს ბაკალავრს ზოგადი ცოდნა ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების, კომპიუტერული და პროგრამული ინჟინერიის სფეროში ძირითადი საკითხების შესახებ. კერძოდ, მომზადდება სპეციალისტი, რომელსაც ექნება თანამედროვე დონის სისტემური, მეთოდოლოგიური, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური, ინფორმაციულ-ანალიტიკური ცოდნა, რაც საშუალებას მისცემს წარმატებით განახორციელოს სხვადასხვა პროფილის ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების დაპროექტება, ორგანიზება გაუწიოს ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ სამსახურს, განავითაროს ფირმის, საწარმოს, ორგანიზაციის ინფორმაციული რესურსები. გარდა ამისა მას შეეძლება თანამედროვე კომპიუტერული სისტემების, მათ შორის მონაცემთა ბაზებით აღჭურვილი

სისტემების, ჩაშენებული მიკროპროცესორული სისტემების და კომპიუტერული ქსელების აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დამოუკიდებელი ექსპლუატაცია, სერვისული მომსახურება, გამართვა და პროექტირებაში, ინტეგრირებასა და დანერგვაში მონაწილეობა.

## **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საერთო საკონკრეტო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები**

### **– ცოდნა და გაცნობიერება:**

- ინფორმატიკის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს ჩაშენებული მიკროპროცესორული სისტემების, მონაცემთა ბაზებისა და სამრეწველო და კომპიუტერული ქსელების მომსახურების; ინფორმაციული პროცესების კვლევისა და ორგანიზების მენეჯმენტის, ბიზნესის; ინფორმაციული სისტემების პროგრამული, ტექნიკური, ორგანიზაციული, უზრუნველყოფისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მუშაკებისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას და შესაბამისად, პროფესიული საქმიანობის საზღვრების გაცნობიერებას;
- ინფორმატიკის სფეროს ფართო ცოდნა, თეორიების და პრინციპების გააზრება, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;
- სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების ათვისება, მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისთვის მომზადების მიზნით.

### **– ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**

- მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება ინფორმატიკის სფეროში აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.
- ინფორმატიკის სფეროსთვის დამახასიათებელი და ასევე, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- ინფორმატიკის და კომპიუტერული ინჟინერიის სფეროში საბაზო ინფორმაციისა და ძირითადი პრინციპების შესახებ არგუმენტირებული მსჯელობა; ინფორმაციული ტექნოლოგიების, მათ შორის პერსონალური პროგრამული სისტემების გამოყენება. მოდელირების, ალგორითმიზაციისა და პროგრამირების საფუძვლების პრაქტიკაში გამოყენება;
- ინფორმაციული და კომპიუტერული სისტემების დაპროექტებაში, დამუშავებაში, ინტეგრირებასა და დანერგვაში მონაწილეობის მიღება;
- კომპიუტერული სისტემების, მათ შორის მონაცემთა ბაზებით აღჭურვილი სისტემების, ჩაშენებული მიკროპროცესორული სისტემების აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დამოუკიდებელი ექსპლუატირება, სერვისული მომსახურება და გამართვა.
- კომპიუტერული ქსელების აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დამოუკიდებელი ექსპლუატაცია, სერვისული მომსახურება და გამართვა.
- როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან, საკუთარი მოსაზრებების საჯაროდ წარდგენა შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, მათი ნათლად დასაბუთება.

### **– დასკვნის უნარი:**

- მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, სიტუაციათა შედარება, სტანდარტული მეთოდებით მათი გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- ინფორმატიკის სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება, მათი ანალიზი და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით და მათ საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

### **– კომუნიკაციის უნარი:**

- საკუთარი აზრის ან მიწოდებული ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე.

- იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება;
- სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;
- მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი;
- ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერა.

**– სწავლის უნარი:**

- სწავლის მიმართულების განსაზღვრა შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.
- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
- შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა.

**– ღირებულებები:**

- ინფორმაციის სფეროს პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;
- ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და სწრაფვა მათ დასამკვიდრებლად;
- პროფესიული ღირებულებების (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა, ორგანიზებულობა და სხვ.) დაცვა;
- ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა.

**სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები**

- ლექცია    სემინარი (ჯგუფში მუშაობა)    პრაქტიკული    ლაბორატორიული    პრაქტიკა
- საკურსო სამუშაო/პროექტი    კონსულტაცია    დამოუკიდებელი მუშაობა.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**დასაქმების სფერო**

ორგანიზაციები და კომპანიები, სადაც ხორციელდება კომპიუტერული სისტემების, ჩაშენებული მიკროპროცესორული სისტემების, მონაცემთა ბაზების და სამრეწველო და კომპიუტერული ქსელების პროექტირება, სერვისული მომსახურება, კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება; ინფორმაციული პროცესებისა და ნაკადების კვლევა და ორგანიზება მენეჯმენტის, ბიზნესის, სოციალურ სფეროებში; გადაწყვეტილებათა მიღების კომპიუტერული მხარდაჭერა მენეჯმენტის, ბიზნესისა და სოციალურ სფეროებში; საინჟინრო-ეკონომიკური და ფინანსური გაანგარიშებები; ინფორმაციული სისტემების პროგრამული, ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, უზრუნველყოფა და ინფორმაციული უსაფრთხოება.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ სილაბუსებში.

**თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 262**

**პროგრამაში არსებული მოკლე ციკლის საგნობრივი დატვირთვა**

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
				I წელი		II წელი	
				სემესტრი			
	I	II	III	IV			
1	MAT0108	მათემატიკა 1	არ გააჩნია	5			
2	PHY0108	ფიზიკა 1	არ გააჩნია	4			
3	IIT0108	შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში	არ გააჩნია	4			
4	FUPRO08	დაპროგრამების საფუძვლები	არ გააჩნია	7			
5	FLN1307	უცხოური ენა B2.1	არ გააჩნია	3			
6	FUCAO08	კომპიუტერის არქიტექტურის და ორგანიზაციის საფუძვლები	არ გააჩნია	4			
7	CGRAB05	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა	არ გააჩნია	3			
8	MAT0208	მათემატიკა 2	მათემატიკა 1		5		
9	PHY0208	ფიზიკა 2	ფიზიკა 1		4		
10	PAS0208	პერსონალური გამოყენების სისტემები	შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში		4		
11	DSP0008	მონაცემთა სტრუქტურები და დაპროგრამირება	დაპროგრამების საფუძვლები		7		
12	OPSFU08	ოპერაციული სისტემების საფუძვლები	შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში		4		
13	FLN1407	უცხოური ენა B2.2	უცხოური ენა B2.1		3		
<b>არჩევითი 1</b>					3		
14.1	INFIL07	ფილოსოფიის შესავალი	არ გააჩნია		3		
14.2	SOC0007	სოციოლოგია	არ გააჩნია				
14.3	APSYC07	გამოყენებითი ფსიქოლოგია	არ გააჩნია				
14.4	GEHIS07	საქართველოს ისტორია	არ გააჩნია				
14.5	BOP0007	პოლიტიკის საფუძვლები	არ გააჩნია				
14.6	MLCT007	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	არ გააჩნია				
14.7	CULTU07	კულტუროლოგია	არ გააჩნია				
15.1	DIMAT08	დისკრეტული მათემატიკა	მათემატიკა 1			5	
15.2	COMMF08	კომპიუტერული მათემატიკის საფუძვლები	მათემატიკა 1				
16	PHY0308	ფიზიკა 3	ფიზიკა 2			4	

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
				I წელი		II წელი	
				სემესტრი			
				I	II	III	IV
17	LSMES03	შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა	არ გააჩნია		3		
18	CNETF08	შესავალი კომპიუტერულ ქსელებში	ოპერაციული სისტემების საფუძვლები		5		
19	BWEBT08	ვებ-ტექნოლოგიების საფუძვლები	შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში		4		
20	FUBDB08	მონაცემთა ბაზების აგების საფუძვლები	შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში		4		
<b>არჩევითი 2</b>					5		
21.1	OOPC108	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 (C++/C# -ის ბაზაზე)	მონაცემთა სტრუქტურები და დაპროგრამება		5		
21.2	OOPJ108	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 (Java -ს ბაზაზე)	მონაცემთა სტრუქტურები და დაპროგრამება				
21.3	OOP1V08	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 (Visual Basic -ის ბაზაზე)	მონაცემთა სტრუქტურები და დაპროგრამება				
22	PRIEC07	ეკონომიკის პრინციპები	არ გააჩნია				4
23	ENPRT04	გარემოს დაცვა	არ გააჩნია				3
24	SSFPM08	პროექტების მართვის ინფორმაციული ტექნოლოგიები	პერსონალური გამოყენების სისტემები				4
<b>არჩევითი 3</b>							4
25.1	OOPC208	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2 (C# -ის ბაზაზე)	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1				4
25.2	OOPJ208	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2 (Java -ს ბაზაზე)	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1				
25.3	OOP2V08	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2 (Visual Basic -ის ბაზაზე)	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1				
<b>არჩევითი 4</b>							<b>15</b>
26.1	WSIVD08	ვებ-საიტების ვიზუალური დაპროექტება	ვებ-ტექნოლოგიების საფუძვლები				3
26.2	BUSCM08	საქმიანი კომუნიკაცია	არ გააჩნია				4
26.3	PRFUN07	საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები	არ გააჩნია				4
26.4	MATPS08	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	მათემატიკა 1, მათემატიკა 2				4
<b>ან</b>							
27.1	COMAR08	ციფრული სისტემების არითმეტიკული საფუძვლები	მათემატიკა 1-2				3
27.2	SWITH08	გადამრთველი სქემების თეორია	კომპიუტერის არქიტექტურის და ორგანიზაციის საფუძვლები				4
27.3	E283008	ელექტრონიკა	<b>fizika 2</b>				4
27.4	GRV1508	გრაფიკა და ვიზუალიზაცია 1	მათემატიკა 1-2				4
<b>ან</b>							

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
				I წელი		II წელი	
				სემესტრი			
				I	II	III	IV
28.1	AI00008	შესავალი ხელოვნურ ინტელექტში	დისკრეტული მათემატიკა, დაპროგრამების საფუძვლები.				5
28.2	FNEU008	ნეიროინფორმატიკის საფუძვლები	დაპროგრამების საფუძვლები				5
28.3	CMGB008	კომპიუტერული გრაფიკის საფუძვლები	ინფორმაციული ტექნოლოგიები				5
<b>ან</b>							
29.1	IOMFA08	შესავალი ორგანიზაციული მენეჯმენტის ფუნქციების ალგორითმიზაციაში	პერსონალური გამოყ. სისტემები; ალგორითმ. და დაპროგრამების საფუძვლები				5
29.2	BPMNL08	ბიზნეს-პროცესების მოდელირების ნოტაცია და სტანდარტული ენა	ალგორითმიზ. და დაპროგრამების საფუძვლ.				5
29.3	SADB308	პროგრამული აპლიკაციების დეველოპმენტის საფუძვლები	ალგორითმიზ. და პროგრ. საფუძვლ.; მონაც. ბაზების აგების საფუძვ.; ვებ-ტექნოლოგ. საფუძვლები				5
<b>ან</b>							
30.1	DPRLA08	მონაცემების დამუშავების ენები	მონაცემთა ბაზების აგების საფუძვლები				4
30.2	MATPS08	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	მათემატიკა 1, მათემატიკა 2				4
30.3	BUSCO08	საქმიანი მიმოწერა	შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში				3
30.4	IINSE08	შესავალი ინფორმაციულ უსაფრთხოებაში	შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში				4
<b>ან</b>							
31.1	BIRMD08	სადაზღვევო და საბანკო რისკების მოდელირება	მათემატიკა 1				5
31.2	COMMA08	კომპიუტერული მათემატიკა	მათემატიკა 1				5
31.3	MCFAC08	მათემატიკური გაანგარიშებები ფინანსურ აღრიცხვასა და აუდიტში	მათემატიკა 1				5
<b>სემესტრში</b>				<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>
<b>წელიწადში</b>				<b>60</b>		<b>60</b>	
<b>სულ</b>				<b>120</b>			

**მოდული 11: (მოცულობა არაუმეტეს 60 კრედიტისა): ეკონომიკური ინფორმატიკა.**  
ხელმძღვანელი: პროფ. თამარ ლომინაძე.

მოდულზე დაშვების წინაპირობა: მოკლე ციკლის არანაკლებ 90 კრედიტისა

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი
11.1	DBMSO08	მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები (Oracle)	მონაცემთა დამუშავების ენები	4
11.2	MMBP108	ბიზნეს პროცესების მათემატიკური მოდელები 1	ეკონომიკური თეორიის საფუძვლები	4
11.3	ADMEN08	კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება	შესავალი კომპიუტერულ ქსელებში	5
11.4	BUCOM08	ბიზნესკომუნიკაცია	საქმიანი მიმოწერა	3

11.5	DBMSS08	მონაცემთა ბაზის MS SQL სერვერის პროგრამ. რეალიზაციის ენა Transact-SQL	მონაცემთა დამუშავების ენები	5
11.6	MMBP208	ბიზნეს პროცესების მათემატიკური მოდელები 2	ბიზნეს პროცესების მათემატ. მოდელები 1	5
11.7	PDOPS08	პორტაბელური მოწყობილობები და მათი ოპერაციული სისტემები	ოპერაციული სისტემების საფუძვლები, კომპიუტერის არქიტექტურის და ორგანიზაციის საფუძვლები	4
11.8	ECIN108	ინფორმატიკის ეკონომიკა 1	ეკონომიკური თეორიის საფუძვლები	5
11.9	AIST108	ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები 1	არ გააჩნია	5
<b>არჩევითი 5</b>				
11.10	SYSAD08	სისტემების ანალიზისა და დიზაინის საფუძვლები	შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში	4
11.11	AIST208	ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები 2	ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები 1	3
11.12	BBPMS08	ორგანიზაციის არქიტექტურა და ბიზნეს - პროცესების მართვის სისტემების საფუძვლები	პროექტების მართვის ინფორმაციული ტექნოლოგიები	4
11.13	ITIM108	მენეჯმენტის ინფორმაციული ტექნოლოგიები	პროექტების მართვის ინფორმაციული ტექნოლოგიები	5
11.14	ECIN208	ინფორმატიკის ეკონომიკა 2	ინფორმატიკის ეკონომიკა 1	4
<b>არჩევითი 6</b>				
11.15	VISPR08	ვიზუალური დაპროგრამება Java ენაზე	მონაცემთა სტრუქტურები და დაპროგრამება	4
11.16	OOAAD08	ობიექტზე ორიენტირებული ანალიზი და დაპროექტება	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება	4

11.17	PRFCN08	დაპროგრამება კომპიუტერული ქსელებისათვის	მონაცემთა სტრუქტურები და დაპროგრამება, შესავალი კომპიუტერულ ქსელებში	4
11.18	WETEC08	ვებ ტექნოლოგიები (HTML5, JavaScript, JQuery)	ვებ-ტექნოლოგიების საფუძვლები	4
11.19	PROGC08	პროგრამირება C# ენაზე	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2	4
<b>სულ კრედიტი</b>				<b>60</b>

**მოდული 12: (მოცულობა არაუმეტეს 60 კრედიტისა): ეკონომიკური ინფორმაციული სისტემები.**  
ხელმძღვანელი: პროფ. მედეა თევდორაძე.

მოდულზე დაშვების წინაპირობა: მოკლე ციკლის არანაკლებ 90 კრედიტისა

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი
12.1	ECOMS08	ელექტრონული კომერციის სისტემები	ვებ ტექნოლოგიების საფუძვლები	4
12.2	MOSYS08	მულტიმედია ოპერაციული სისტემები	პორტაბელური მოწყობილობები და მათი ოპერაციული სისტემები	4
12.3	HCOMI08	ადამიანურ-მანქანური ინტერაქციები	პორტაბელური მოწყობილობები და მათი ოპერაციული სისტემები	3
12.4	BPIS108	ბიზნეს პროცესების მართვის ინფორმაციული სისტემები 1	ბიზნეს პროცესების მათემატიკური მოდელები 2	4
12.5	BPIS208	ბიზნეს პროცესების მართვის ინფორმაციული სისტემები 2	ბიზნეს-პროცესების მართვის ინფორმაციული სისტემები 1	5
12.6	BETAL08	ბიზნესის ეთიკა და სამართალი	არ გააჩნია	3
12.7	ISSMI08	ინფორმაციული სისტემების სტრატეგია, მენეჯმენტი, ინოვაციები და ახალი ტექნოლოგიები	პორტაბელური მოწყობილობები და მათი ოპერაციული სისტემები	3
12.8	ISBAN08	ბიზნეს ანალიზის ინფორმაციული სისტემები	ბიზნეს პროცესების მართვის ინფორმაციული სისტემები 1	4
12.9	ISPRM08	ინფორმაციული სისტემების პროექტების მართვის საფუძვლები	პროექტების მართვის ინფორმაციული ტექნოლოგიები	5
<b>არჩევითი 7</b>				
12.10	FINS108	საფინანსო ინფორმაციული სისტემები 1	არ გააჩნია	5
12.11	FINS208	საფინანსო ინფორმაციული სისტემები 2	საფინანსო ინფორმაციული სისტემები 1	5
12.12	ITSRM08	ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების უსაფრთხოება, რისკების მართვა, აუდიტი და კონტროლი	შესავალი ინფორმაციულ უსაფრთხოებაში	5
12.13	ISFAM08	ინფორმაციული სისტემები ფინანსურ ანალიზსა და მენეჯმენტში	ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები 1	5
12.14	DOEIS08	ეკონომიკური ინფორმაციული სისტემების დაპროექტება	ბიზნეს პროცესების მართვის ინფორმაციული სისტემები 1, ინფორმატიკის ეკონომიკა 1	5
<b>არჩევითი 8</b>				
12.15	PPHPP08	დაპროგრამება PHP პლატფორმაზე	ვებ ტექნოლოგიები (HTML5, JavaScript, JQuery)	4
12.16	PNETP08	დაპროგრამება .NET პლატფორმაზე	პროგრამირება C#-ში	3
12.17	CLCOM08	ღრუბლოვანი გამოთვლების საფუძვლები	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება	3
12.18	ISTFO08	ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები საფინანსო	არ გააჩნია	5



		ორგანიზაციებში		
12.19	PARTI08	ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები	მათემატიკა 3, დაპროგრამების საფუძვლები	5
12.20	ECOSD08	ელექტრონული კომერციის სისტემების დაპროექტება	ელექტრონული კომერციის სისტემები	5
			<b>სულ კრედიტი</b>	<b>60</b>

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

რომან სამხარაძე

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ზურაბ ბაიაშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ზურაბ წვერაიძე

**მიღებულია**

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

11.05.2011

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ზურაბ წვერაიძე

**მოდიფიცირებულია**

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 13.04.2016 ოქმი №2  
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ზურაბ წვერაიძე

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

გიორგი ძიძიგური